სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ

თქვენი 2023 წლის 24 იანვრის #21/305 წერილით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად წარმოგიდგენთ შპს ,,დაგი"-ს ფეროშენადნობების საწარმოს ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტის როგორც ნაბეჭდ, ისე ელექტრონულ ვერსიებს, რომლის მე-6 თავის ფორმა #2 და ცხრილები 8.1 და 9.1 შესრულებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #408 დადგენილებით დამტკიცებული ,,ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის" შესაბამისად.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ 2022 წლის 4 ნოემბრის წარმოდგენილი გზშ ანგარიშის მე-7 თავის 7.3 ქვეთავში (ტექნოლოგიური პროცესის აღწერა) მოცემულია ინფორმაცია ლითონის ჩამოსხმასთან დაკავშირებით. დოკუმენტში მითითებულია, რომ საწარმოს მიერ განოშვებული ლითონის ჩამოსხმა იწარმოებს ელექტრო ამწეების (პერფერის) მეშვეობით შესაბამის ციცხვებში. ციცხვებში ლითონის გაციების შემდეგ მოხდება მისი აწონვა და გადატვირთვა მზა პროდუქციის სასაწყობე მოედანზე, ციცხვების დაზიანების და მტვრევის გარეშე (ციცხვებიდან მექანიკურად ხდება მზა პროდუქციის ამოღება). ჩამოსხმული სილიკომანგანუმის გაციება მოხდება ბუნებრივ პირობებში ყოველგვარი დამატებითი პროცედურების და სხვადასხვა საშუალებებით ზეწოლის გარეშე. გაციების შემდგომ მოხდება პროდუქციის მარკირება შემდგომში ტრანსპორტირების მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით დამატებით განგიმარტავთ, რომ ლითონის ჩამოსხმა მოხდება ციცხვებში, აქვე მოხდება მისი გაციება ბუნებრივ პირობებში, ყოველგვარი დამატებითი ტექნოლოგიური პროცესების წარმოების გარეშე. ციცხვებში გაციებული მზა პროდუქცია გადაიტვირთება მზა პროდუქციის სასაწყობე მოედანზე, საიდანაც მოხდება მისი რეალიზაცია.

აქვე, დაზუსტების მიზნით მოგახსენებთ, რომ შპს ,,დაგი"-ს მიერ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდი იყო 33.09.43.550 დაგეგმილია ცემენტისა და ფილერის საწარმოს მოწყობა, რომელზედაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 14 ივნისის 2-870 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
«09» 02 2023 წ.
№ 957

ამასთან, გაცნობებთ, რომ გზშ ანგარიშის 81-82 გვერდზე წლიური გაფრქვევების ფორმულაში მოცემული ციფრი 106-ის ნაცვლად უნდა იყოს 10^6. ასევე გვ 85-ზე, 25ტ/სთ -ს ნაცვლად მოცემული უნდა იყოს 25ტ/დღე-ღამეში. აღნიშნული წარმოადგენს მექანიკურ შეცდომას და გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში.

დამატებით, წარმოგიდგენთ საწარმოს განთავსების გენ. გეგმას მასზე დატანილი ხმაურის წყაროების მითითებით.

დანართი - საწარმოს გენ გეგმის ელ. ვერსია და 1 ეგზ. ნაბეჭდი ვერსია

ზდგ ანგარიშის ელ. ვერსია და 2 ეგზ. ნაბეჭდი ვერსია.

პატივისცემით

დავით ბიბილაშვილი

დირექტორი